March 2022 (№21)
Volume 8; Issue 1; Page No. 117-135
ISSN: 2346-7916 (Print)
ISSN: 2587-5043 (Online)

INTERNATIONAL JOURNAL OF LAW: "LAW AND WORLD" www.lawandworld.ge

https://doi.org/10.36475/8.1.7 Licensed under: CC BY-SA

# Sexual Harassment in Public Place – Existing Administrative Regulation and Problematic Aspects

Nati Gelovani
*PhD student at the Faculty of Law and Social Sciences of East European University*

ARTICLE INFO

*Article History:*

Received 22.02.2022
Accepted 09.03.2022
Published 31.03.2022

*Keywords:*

Sexual Harassment, Administrative Violation, Gender-based Violence

ABSTRACT

In 2017, Georgia has ratified the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (Istanbul Convention) and has taken the responsibility to evaluate the form of gender discrimination such as sexual harassment as the act of violence against women and to take all appropriate measures to ensure that any form of unwanted sexual behavior (verbal, non-verbal or physical) which intended to cause or interferes with a person's dignity and in particular which to create an intimidating, hostile, degrading or abusive environment, is subject to an appropriate legal sanction.

Sexual harassment is a widespread phenomenon, often based on gender stereotypes prevalent in society. This form of gender discrimination not only violates the rights and interests of the victim but also creates an environment that can be restrictive and damaging to any person.

In order to approximate the Convention, the Parliament of Georgia made a number of legislative changes in 2019, including establishing administrative liability for sexual harassment conducted in public places, although by that time Georgian legal space was not familiar with the definition of the public place, which raises the problems for assessing the fact. The article tries to resolve the ambiguous issues related to this subject.

# საზოგადოებრივ ადგილას განხორციელებული სექსუალური შევიწროება – არსებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი რეგულირება და პრობლემური ასპექტები

ნატი გელოვანი
*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი*

საკვანძო სიტყვები: სექსუალური შევიწროება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, გენდერის ნიშნით ძალადობა

## შესავალი

სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად განიხილება, ის ფართოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს, რომელსაც ხშირად საფუძვლად უდევს საზოგადოებაში გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები. გენდერული დისკრიმინაციის აღნიშნული ფორმა ვნებს არა მხოლოდ მსხვერპლის უფლებებსა და ინტერესებს, არამედ სხვა პირთა უფლებებსაც, სწორედ მისი სპეციფიკური ბუნება სძენს აღნიშნულ საკითხს აქტუალურობას.

მოცემული სტატია შეეცდება საკითხის სრულყოფილად შესწავლის გზით, მოახდინოს ყველა მნიშვნელოვანი პრობლემური ასპექტის თაობაზე რელევანტური განმარტებების გაკეთებას. ნაშრომი შედგება შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილებისგან. შესავალი ნაწილი ეთმობა იმ საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლების შეფასებას, რომელთა შესაბამისად შემუშავებული იქნა ქართული ნორმები, ძირითად ნაწილი სრულად ფარავს საზოგადოებრივ ადგილას განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემურ საკითხს, დასკვნაში შეჯამებულია განხილული პრობლემური საკითხები და შემოთავაზებულია საზოგადოებრივ ადგილას განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული რელევანტური დასკვნები.

## 1. სექსუალური შევიწროების არსი და საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირება

საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმა, აზრი თუ სტერეოტიპი არ უნდა განსაზღვრავდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საზღვრებს, მათ შორის ისეთი უფლების, როგორიცაა სექსუალური შევიწროებისაგან დაცვის უფლება ნებისმიერ სივრცეში, მით უფრო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

სექსუალური შევიწროება გლობალურად გავრცელებული მოვლენაა, რომლის მსხვერპლი შეიძლება იყოს როგორც კაცი, ისე ქალი, თუმცა ძირითად შემთხვევაში აღნიშნული ქმედების მსხვერპლები მაინც ქალები არიან.

მისი ლატენტური ბუნებისა და მავნე შედეგების გამო სექსუალური შევიწროება საკმაოდ რთულ და კომპლექსურ მოვლენას წარმოადგენს. საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სექსუალური შევიწროება ძალიან მძიმე ზეგავლენას ახდენს მსხვერპლთა ჯანმრთელობაზე და მათ კეთილდღეობაზე.[1]

## 1.1. სექსუალური შევიწროების არსი

სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად განიხილება, ის ფართოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს, რომელსაც ხშირად საფუძვლად უდევს საზოგადოებაში გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები. სექსუალურ შევიწროებას ფარული, ლატენტური ხასიათი აქვს, ძირითად შემთხვევაში მისი ჩადენა ხორციელდება სხვა პირთა მხრიდან შეუმჩნევლად, ისეთ ადგილებში, სადაც სექსუალური შევიწროების მსხვერპლი და სამართალდამრღვევი მარტო იმყოფებიან.

სამართლის დოქტორი და ფემინისტი მკვლევარი – დებორა თურქჰეიმერი აღნიშნავს, სექსუალური შევიწროება წარმოადგენს კაცების მხრიდან ქალების, როგორც ობიექტების მიმართ საკუთარი უფლებების დეკლარირებას. მკვლევარის აზრით, ეს ყველაფერი კეთდება, რათა ქალი წარმოჩინდეს „როგორც ობიექტი, ხოლო კაცი, როგორც სუბიექტი, რომელსაც მასზე [ქალზე] ძალაუფლება გააჩნია.“[2]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) გათვალისწინებული ნეგატიური ვალდებულება სახელმწიფოს უკრძალავს ამ მუხლით დაცულ სფეროში უკანონო ჩარევას. თუმცა, ამავდროულად, ეს ნორმა სახელმწიფოს ავალდებულებს იმოქმედოს პოზიტიური ვალდებულებების ჭრილში და მოახდინოს ამ მუხლით დაცული უფლების ეფექტიანი დაცვა.[3] სექსუალური შევიწროების მავნე შედეგები აისახება არა მხოლოდ კონკრეტულ მსხვერპლებზე, არამედ ის უარყოფით გავლენას ახდენს სხვა პირთა უფლებრივ მდგომარეობაზეც.

## 1.2. საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირება

საერთაშორისო თანამეგობრობა თანხმდება, რომ ყველა პირი დაცული უნდა იყოს სექსუალური შევიწროებისგან განურჩევლად იმ სივრცისა, სადაც მას უწევს ყოფნა. არაერთი საერთაშორისო აქტი მოუწოდებს ქვეყნებს შექმნან ისეთი სამართლებრივი სივრცე, სადაც სრულყოფილად მოახდენენ სექსუალური შევიწროების ფაქტებზე რეაგირების განხორციელებას და აღნიშნული ქმედების ჩამდენი პირების პასუხისგებაში მიცემას, იქნება ეს სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების მეშვეობით.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტი სექსუალურ შევიწროებას მიიჩნევს ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმად.[4] მოცემული დასკვნა ეფუძნება თეზის, რომლის თანახმადაც „თანასწორობას რეალური საფრთხე ექმნება, როდესაც ქალი ექვემდებარება გენდერული ნიშნით ძალადობის ისეთ ფორმას, როგორიც არის სექსუალური შევიწროება.“[5] ქალთა უფლებების

1 საქართველო, გაეროს ქალთა ორგიზაცია, (2021, 20 სექტემბერი). კვლევის ანგარიში, სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქართველოს საჯარო სამსახურში, <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2021/Workplace%20Sexual%20Harassment%20in%20the%20Civil%20Service%20in%20Georgia%20GEO%20renewed.pdf> [ბოლო წვდომა: 21.02.2022]

2 Tuerkheimer, D. 1997, Street harassment as sexual subordination: the phenomenology of gender-specific harm. Wisconsin Women's Law Journal, Vol. 12, 167

3 ECtHR, Y v. Slovenia, no. 41107/10, 28/05/2015, § 101

4 UN 2000. Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 12, Violence against women, 1989, §1, <http://www.un-.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm#recom12> [ბოლო წვდომა: 22.02.2022]

5 UN 2000. Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 19: Violence against women, 1992, §17, <https://www.un-.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm#recom19> [ბოლო წვდომა: 22.02.2022]

დაცვის სხვადასხვა ინსტრუმენტები[6] სახელმწიფოებს მოუწოდებენ შესაბამისი ზომებს გატარებას სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის განხორციელების მიზნით.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-40 მუხლი სექსუალურ შევიწროებას ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლინებად მოიაზრებს და სახელმწიფოს ავალდებულებს განახორციელოს შესაბამისი ქმედითი პოლიტიკა, რათა სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, კონკრეტულად კი მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან აგრესიული გარემოს შექმნას, დაექვემდებაროს შესაბამის რეაგირებას.[7]

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მიხედვით: „სექსუალური შევიწროება მოიცავს არასასურველ, სექსუალური ხასიათის ქცევას, მათ შორის, ფიზიკურ კონტაქტსა და სხვა მცდელობებს, სექსუალური შინაარსის მქონე განცხადებებს, პორნოგრაფიის ჩვენებასა და სექსუალური ხასიათის მოთხოვნებს, მნიშვნელობა არ აქვს, ასეთი ქცევა გამოხატული იქნება ვერბალურად თუ ქმედებით. ამგვარი პრაქტიკა დამამცირებელია და შესაძლოა, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები გამოიწვიოს."[8]

გენდერული თანასწორობის შესახებ ევროკავშირის განახლებული 2006/54/EC დირექტივის მე-6 პუნქტისა და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად სქესის ნიშნით შევიწროება და სექსუალური შევიწროება სქესის ნიშნის დისკრიმინაციას წარმოადგენს.[9]

საერთაშორისო მექანიზმების მიერ მიღებული განმარტება განსხვავებულად არის ინტეგრირებული უშუალოდ ქვეყნების შიდა კანონმდებლობაში, მაგალითად ევროპის რამდენიმე ქვეყანა (ბელგია, საბერძნეთი და გაერთიანებული სამეფო) სრულად იზიარებს ევროკავშირის დირექტივებით გათვალისწინებულ სექსუალური შევიწროების დეფინიციას, ქვეყნების ნაწილს (ავსტრია, სლოვაკეთი და შვედეთი) აღნიშნული განმარტებიდან ამოღებული აქვთ სიტყვები "მიზნად ისახავს" ამასთან, არიან ქვეყნები (საფრანგეთი, უნგრეთი, ნიდერლანდები, ესპანეთი და სლოვაკეთი), რომლებსაც სექსუალური შევიწროების განმარტებიდან ამოღებული აქვთ სიტყვა "არასასურველი."[10] მიუხედავად არაერთგვაროვანი ცნებისა, უმნიშვნელოვანესია, რომ აღნიშნული ქმედება ექვემდებარებოდეს სახელმწიფოს კონტროლს.

რაც შეეხება ამ ქმედების შეფასება და მისთვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ზომას, ევროპის ძირითადი ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს სექსუალური შევიწროების განმახორციელებლის მიმართ სამოქალაქო საქმის წარმოების დაწყებასა და შესაბამისი კომპენსაციის მოთხოვნას, თუმცა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა მაგალითად ბულგარეთი, მალტა და სხვა, სექსუალური შევიწროების მსუბუქი შემთხვევები დასჯადია ადმინისტრაციული წესით, ხოლო შედარებით მძიმე შემთხვევები – სისხლის სამართლის წესით.[11]

---

6 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW), პეკინის დეკლარაცია და ქმედების პლატფორმა, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ და სხვა.

7 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2017, 19 აგვისტო). ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0> [ბოლო წვდომა: 22.02.2022]

8 საქართველო, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2018, 18 სექტემბერი). დოკუმენტების კრებული, გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები, <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/convention%20on%20elimination%20of%20violence.pdf> [ბოლო წვდომა: 25.02.2022]

9 სახალხო დამცველი (2017, 3 მაისი). რეკომენდაცია შევიწროებით და სექსუალური შევიწროებით გამოხატული სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019111312451520835.pdf> [ბოლო წვდომა: 10.02.2022]

10 Publications office of the European Union (2013, 15 November). European Commission, Harassment related to Sex and Sexual Harasment law in 33 European Countries, §13-14, <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/e06dcc86-b7bf-459e-8241-47502ef379c4> [ბოლო წვდომა: 22.02.2022]

11 Publications office of the European Union (2013, 15 No-

## 2. სექსუალური შევიწროების სამართლებრივი განმარტება

საქართველოს კანონმდებლობით, რომელიც თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, პირის ღირსება არის აბსოლუტური უფლება, რომლის შეზღუდვაც დაუშვებელია. სექსუალური შევიწროება წარმოადგენს პირის უფლებებში უხეშ ჩარევას, მის მიმართ არასასურველი და ხშირ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელებას, რაც ლახავს ადამიანის ღირსებას. სექსუალური შევიწროება ეს არის პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

### 2.1. სექსუალური შევიწროების სამართლებრივი განმარტება ქართული კანონმდებლობის მიხედვით

სექსუალური შევიწროება რთული სამართლებრივი საკითხია, რომელიც თავის თავში მოიაზრებს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური კრიტერიუმების არსებობას. ის შეიძლება განხორციელდეს, როგორც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ასევე ყველა სხვა – არა საჯარო და არა საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცეებში, მათ შორის შრომითი ურთიერთობის მქონე პირებს შორის.

ქართულმა კანონმდებელმა სექსუალური შევიწროების ფაქტებზე რეაგირების ადმინისტრაციული სამართლებრივი მექანიზმი აირჩია. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, სექსუალური შევიწროება ეს არის საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

შესაბამისად, სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევის შეფასებისას რამდენიმე გარემოებას ექცევა ყურადღება, რომლებიც მოითხოვენ უფრო ფართოდ მსჯელობას, თუმცა გარდა აღნიშნული გარემოებებისა, შევიწროების ფაქტებზე მსჯელობისას საჭიროა ასევე იმ სოციალური კონტექსტის გათვალისწინება, რომელშიც ხდება შევიწროება და სწორედ ამ სოციალური კონტექსტისადმი შესაბამისი დამოკიდებულება იძლევა საშუალებას, რომ ობიექტურად შეფასდეს, რამდენად გონივრულად მოხდა სექსუალური ქცევის აღქმა მსხვერპლის მიერ.[12]

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, აუცილებელია განვიხილოთ როგორც სექსუალური შევიწროების ფორმები, ისე სექსუალური შევიწროების შემადგენლობის თითოეული ელემენტი.

#### 2.1.1. სექსუალური შევიწროების სუბიექტი და ობიექტი

საქართველოს ასკ-ის[13] $166^1$-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელიც სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის თექვსმეტი წლის ასაკს არის მიღწეული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, რომელიც სასკ-ით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოქმედება ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.

სექსუალური შევიწროების ამსრულებელი სუბიექტი (სამართალდამრღვევი) და ობიექტი (ადრესატი) შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, სექსუალური ორიენტაციისა, გენდერისა, გენდერული იდენტობისა, ასაკისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხე-

vember). European Commission, Harassment related to Sex and Sexual Harasment law in 33 European Countries, §19, <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/e06dcc86-b7bf-459e-8241-47502ef379c4> [ბოლო წვდომა: 22.02.2022]

12 Supreme court of the Unated States, Josef Oncale, Petitiones v. Sundownet offshore service. N96-568, 1998.

13 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, [ბოლო წვდომა: 30.12.2021.

დულებისა, შეზღუდული შესაძლებლობისა, მოქალაქეობისა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნისა.

აღსანიშნავია, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტი შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთი სქესის თუ სექსუალური ორიენტაციის მქონე პირთა შორის, ასევე განსხვავებული სქესის, სექსუალური ორიენტაციის თუ გენდერული იდენტობის მქონე პირთა შორის (მაგ. ქალმა შეავიწროვოს ქალი, ლესბოსელმა შეავიწროვოს ლესბოსელი, ტრანსგენდერი ქალი შეავიწროვოს ტრანსგენდერმა ქალმა და ა.შ.). მცდარია შეხედულება, რომ სექსუალური შევიწროება მხოლოდ ქალის მიმართ შეიძლება განხორციელდეს, ისევე როგორც შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ სექსუალური შევიწროება მხოლოდ განსხვავებული სქესის მქონე პირებს, მაგ. ქალსა და მამაკაცს შორის შეიძლება მოხდეს.

ამასთან, იმ შემთხვევაში თუ პირის ქმედება შეიცავს დანაშაულის (მაგ. სექსუალური ძალადობის) ნიშნებს, ქმედების შეფასება მოხდება სისხლისსამართლებრივი წესით. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად პასუხისმგებლობის ასაკად განსაზღვრულია 14 წელი.

## 2.1.2. სექსუალური შევიწროების სუბიექტური გარემოებები

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი (პირდაპირი განზრახვა) ან შეგნებულად უშვებდა მათ (არაპირდაპირი განზრახვა). ამავე კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად კი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მისი ჩამდენი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას (თვითიმედოვნება) ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ეს შედეგები უნდა გაეთვალისწინებინა (დაუდევრობა).

სექსუალური შევიწროებისათვის დამახასიათებელ სუბიექტურ გარემოებებს წარმოადგენს: სექსუალური ხასიათის ქცევა ადრესატისთვის უნდა იყოს არასასურველი, ის მიზნად უნდა ისახავდეს ან/და იწვევდეს პირის ღირსების შელახვას. „შევიწროების საქმის განხილვისას, ასევე ჩნდება შემავიწროებლის განზრახვის საკითხი. აღსანიშნავია, რომ შევიწროების ქცევა არ საჭიროებს ადამიანის ღირსების შემლახავი ან დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნის განზრახვის არსებობის დადასტურებას."[14]

„სექსუალურ შევიწროებას არ სჭირდება მოტივი, სექსუალური ხასიათის ქცევა თავისთავად შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს სავარაუდო მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის განზრახვის მიუხედავად. საკმარისია, რომ ქმედებას ჰქონდეს დისკრიმინაციული გავლენა, რამდენადაც, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა განზრახვაზე, არამედ ქმედების შედეგზე."[15]

ამრიგად, სექსუალური შევიწროება სუბიექტური მხრივ არ მოითხოვს განზრახვის აუცილებლად არსებობას, ის შეიძლება განხორციელდეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. შემავიწროებლის ნება, ამ შემთხვევაში, ქმედების კვალიფიკაციას არ განსაზღვრავს.

### *2.1.2.1. სექსუალური ხასიათის ქცევა ადრესატისთვის უნდა იყოს არასასურველი*

აუცილებელია, რომ სექსუალური ხასიათის ქცევა ადრესატისთვის იყოს არასასურველი. თუ სექსუალური ხასიათის ქცევა ადრესატისთვის სასურველი, მოსაწონი ან/და მისაღებია, სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობა გამოირიცხება.

---

14 ახობაძე, ქ., (2015). სექსუალური შევიწროება – ქალთა უჩინარი დისკრიმინაცია, კვლევის ანგარიში, თბილისი, ქალთა ფონდი საქართველოში, გვ. 9.

15 Ontario Human Rights Commission 2013. Policy on preventing sexual and gender-based harassment, Burden of Proof, Evidentary Issues, <https://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment-0> [Last Seen:10.02.2022]

სექსუალური შევიწროების დასადგენად ქცევის არასასურველობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა, ეს არ გულისხმობს ქმედების „იძულებითობას." მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას ქმედების არასასურველობის განჭვრეტადობასაც. მსხვერპლი შესაძლოა ეთანხმებოდეს კონკრეტულ ქცევას და აქტიურადაც მონაწილეობდეს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მისთვის ქმედება უსიამოვნო და შეურაცხმყოფელი იყოს.[16] ამ დროს მისი დუმილი ან უმოქმედობა, არ უნდა გახდეს სექსუალური შევიწროების გამომრიცხავი გარემოება.

შევიწროების ფაქტის დადგენისას, ევროპული სასამართლო ხელმძღვანელობს მოქნილი ობიექტური და სუბიექტური მიდგომით, რომელიც უპირველეს ყოვლისა ინტერესდება მსხვერპლის აღქმით, იმის დასადგენად, ადგილი ჰქონდა თუ არა შევიწროებას. თუმცა, ამასთან, შესაძლებელია, შევიწროება დადგინდეს მსხვერპლის აღქმის მიუხედავად.[17]

შეფასება იმისა სექსუალური ხასიათის ქცევა სასურველია თუ არა, უნდა მოხდეს მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. თუმცა მთავარი არის ადრესატის აღქმა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არ არის აუცილებელი მსხვერპლმა სიტყვიერად გამოხატოს სექსუალური ხასიათის ქცევის არასასურველობა, მიუღებლობა. ხშირად მიუღებლობა მისი დამოკიდებულებიდანაც ჩანს – არ პასუხობს კომენტარებს, რეპლიკებს, ცდილობს განერიდოს სავარაუდო შემავიწროებელს და ა.შ. სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევის შესახებ მსჯელობისას „საჭიროა ასევე იმ სოციალური კონტექსტის გათვალისწინება, რომელშიც ხდება ქცევა და სწორედ ამ სოციალური კონტექსტისადმი შესაბამისი დამოკიდებულება იძლევა საშუალებას, რომ ობიექტურად შეფასდეს, რამდენად გონივრულად მოხდა სექსუალური ქცევის აღქმა მსხვერპლის მიერ."[18]

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ „საქმეების განხილვისას გამოყენებული უნდა იქნეს ქალის მიერ გონივრული აღქმის სტანდარტი (reasonable woman standard), რომელიც მხედველობაში იღებს სექსუალური შევიწროების ფაქტის თაობაზე ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ აღქმებს. აღნიშნული სტანდარტი, სექსუალური შევიწროების ფაქტს განიხილავს ქალის პერსპექტივიდან და წარმოადგენს გენდერულად სენსიტიურ მიდგომას".[19]

აღსანიშნავია, რომ „იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი მონაწილეობს მისთვის არასასურველ ქმედებაში, მაგალითად, იღებს სექსუალურ ხუმრობას, ეს არ ნიშნავს და არ მოიცავს მისი მხრიდან ქცევის მიმღებლობას/თანხმობას."[20] „გადამწყვეტია ის, რომ პირისათვის, მისკენ მიმართული სექსუალური ქცევა იყო არასასურველი და არა ის, რომ სექსუალურ ქცევაში მონაწილეობას ნებაყოფლობით დათანხმდა."[21] „თუ მსხვერპლი არ ამბობს, რომ მისთვის ქცევა არასასურველია, ეს არ გამორიცხავს შემავიწროებელი პირის პასუხისმგებლობას, ვინაიდან გონივრულობის ფარგლებში, შემავიწროებელს უნდა სცოდნოდა, რომ კონკრეტული სექსუალური ხასიათის ქცევა მიუღებელი იქნებოდა მსხვერპლისათვის.... სექსუალური შევიწროების საქმეებში არამხოლოდ არასასურველობის საკითხი დგება, არამედ მნიშვნელობა ენიჭება ქმედების არასასურველობის განჭვრეტადობასაც."[22]

16 UN 2010. What is Sexual Harassment? P. 1, <https://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/whatissh.pdf> [ბოლო წვდომა: 10.02.2022]

17 European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe 2018. Handbook of European Non-Discrimination Law, 2018 edition, Luxembourg: Publications Office of the European Union, 64, <https://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/fra-2018-handbook-non-discrimination-law-2018_en.pdf> [ბოლო წვდომა: 22.02.22022]

18 Supreme Court of the United States, Josef Oncale, Petitioner v. Sundowner Offshore Services, Incorporater, et al., No. 96-568, 1998, II.

19 სახალხო დამცველი (2018, 1 ოქტომბერი). რეკომენდაცია სექსუალური შევიწროებით გამოხატული სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე, გვ. 4, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019110716515195006.pdf> [ბოლო წვდომა: 22.02.2022]

20 Harrison v. Nixon Safety Consulting and others (No. 3), 2008 BCHRT 462 (CanLII)

21 The U.S. Supreme Court, Meritor Savings Bank v. Vinson, 477 U.S. 57 1986

22 Ontario Human Rights Commission 2013. Policy on preventing sexual and gender-based harassment, Burden of Proof, Evidentary Issues, <https://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment-0> [ბოლო წვდომა: 10.02.2022]

არასასურველობის დადგენა ხდება მტკიცებულებებზე დაყრდნობით, თუმცა ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ „სექსუალური შევიწროების მსხვერპლი არ არის ვალდებული, რომ ამტკიცოს მის მიერ აგრესიულად გამოხატული წინააღმდეგობა, ან ის, რომ აშკარად გამოხატა ქმედების არასასურველობა. საკმარისია მსხვერპლმა მიუთითოს, რომ კონკრეტული სექსუალური შინაარსის კომენტარები ან ქმედება არასასურველი იყო, ან შემავიწროებელს გონივრულობის ფარგლებში უნდა სცოდნოდა, რომ ის მიუღებელი იქნებოდა.“[23]

არასასურველობის გამომხატველად მიიჩნევა: „მაგალითად, ჟესტი, სახის გამომეტყველება, სხეულის ენა ან/და სხვა მინიშნება, რომელიც საკმარისად უნდა ჩაითვალოს ქცევის არასასურველობისა და უარყოფისათვის.“[24] ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს არასასურველობის ელემენტი.

### *2.1.2.2. სექსუალური ხასიათის ქცევა მიზნად უნდა ისახავდეს ან/და იწვევდეს პირის ღირსების შელახვას*

სექსუალური შევიწროების აღნიშნული კრიტერიუმის არსებობისთვის, ქმედება უნდა შეფასდეს სუბიექტური და ობიექტური ტესტის გამოყენების მეშვეობით. „სექსუალური შევიწროებისათვის სუბიექტურობისა და ობიექტურობის ტესტს, რომელშიც სუბიექტურობის კომპონენტი არის შემავიწროებლის დამოკიდებულება მისი ქცევის მიმღებლობასთან დაკავშირებით, ხოლო ობიექტურობის კომპონენტი კი ყურადღებას ამახვილებს, თუ როგორ იქნებოდა კონკრეტული ქცევა მიღებული, გონივრულობის ფარგლებში, მესამე პირის მიერ.“[25]

23 Human Rights Commission, Willis v. Blencoe, 2001 BCHRT 12 (CanLII), §58; Potapczyk v. MacBain, 1984 CanLII 11 (CHRT), §45.

24 სახალხო დამცველი (2021, 24 იანვარი). პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, 2020 წელი, გვ. 20, <https://www.ombudsman.ge/geo/sakhelmdzghvaneloebi-da-kvlevebi/praktikuli-sakhelmdzghvanelo-seksualuri-shevitsroebis-shesakheb> [ბოლო წვდომა: 22.02.2022]

25 Ontario Human Rights Commission 2013. Policy on preventing sexual and gender-based harassment, Burden of Proof, Evidentary Issues, <https://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment-0> [ბოლო წვდომა: 10.02.2022]

სექსუალური შევიწროება შეიძლება განხორციელდეს, როგორც განზრახ, ის გაუფრთხილებლობით, კერძოდ: შესაძლოა შემავიწროებელი მიზნად ისახავდეს ადრესატის ღირსების შელახვას ან შესაძლოა შემავიწროებელი ადრესატის ღირსების შელახვას საერთოდ არ ისახავდეს მიზნად, თუმცა, ადრესატში შემავიწროებლის ქცევამ გამოიწვიოს ღირსების შელახვა. ორივე შემთხვევაში სახეზე იქნება სექსუალური შევიწროება.

ზოგადად სექსუალური შევიწროება უარყოფით გავლენას ახდენს მსხვერპლზე, მსხვერპლს უჩნდება შიში იმ ადგილის მიმართ, სადაც სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გახდა, მისი ღირსება შელახულია და ამ დროს ყველანაირად ცდილობს არ მოხვდეს სამართალდარღვევის განხორციელების ადგილას, ფაქტობრვად იცვლის ცხოვრების წესს.

ღირსების უფლების აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე, დაუშვებელია პირის მიმართ განხოციელებული სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც ამ უკანასკნელისთვის არასასურველია, შეფასდეს, როგორც გაუგებრობა, „კომპლიმენტის“ თქმა ან სხვა შემთხვევითობა.

### *2.1.2.3. სექსუალური ხასიათის ქცევა ადრესატისთვის უნდა ქმნიდეს დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ ან ღირსების შემლახველ გარემოს*

ქართული კანონმდებლობა სექსუალური შევიწროების ქმედების რამდენიმე ალტერნატიული შედეგის დადგომის შესაძლებლობას ითვალისწინებს, კერძოდ: ქმედებამ ადრესატს უნდა შეუქმნას დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან/და ღირსების შემლახავი გარემო. ფაქტობრივად ამ ქმედების განხორციელების შედეგად მსხვერპლს არ აქვს სურვილი იმ ადგილზე იმყოფებოდეს, სადაც მის მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედება განხორციელდა.

დამაშინებელი იქნება ისეთი გარემო, სადაც მსხვერპლს გაუჩნდება ყოფნის შიში. მაგ.: სკვერი, პარკი, სადაც შემავიწროებელი იმყოფება, მსხვერპლს უჩნდება შიში, რომ მის მიმართ გაგრძელდება სექსუალური ხასიათის ქცევა, ასევე, აქვს შიში, რომ შეიძლება ქმედება სხვა უფრო მძიმე ფორმაში, მაგალითად

გაუპატიურებაში გადაიზარდოს. შიშის გამო ის ტოვებს შემთხვევის ადგილს და ცდილობს შეხება არ ჰქონდეს მასთან.

მტრულია გარემო, სადაც სექსუალური შევიწროების ფაქტის გამო მსხვერპლის მიმართ ცუდად არიან განწყობილნი გარშემომყოფნი. მაგ.: შემსწრე პირები მას ადანაშაულებენ (სიტყვიერად ან/და არა არასიტყვიერად) მის მიმართ განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებაში სხვადასხვა მიზეზის გამო, გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ სწორედ მსხვერპლის „მაპროვოცირებელი", „გამომწვევი" ჩაცმულობა გახდა მის მიმართ ამგვარი ქმედების განხორციელების საფუძველი. ასეთ გარემოში მსხვერპლი თავს ვერ გრძნობს დაცულად, ეშინია იქ ყოფნა, მიაჩნია, რომ იქ მყოფი პირები უარყოფითად არიან მის მიმართ განწყობილებები და მას ადანაშაულებენ მომხდარში, შესაბამისად, მსხვერპლს არ უნდა ამ გარემოში ყოფნა.

დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან ღირსების შემლახველი იქნება გარემო, სადაც მსხვერპლი თავს იგრძნობს დამცირებულად, შეურაცხყოფილად, ღირსებაშელახულად. გარემო, სადაც მსხვერპლი თავს დამცირებულად გრძნობს მომხდარის გამო, მისთვის იქ დარჩენა იწვევს დამცირებას და აღნიშნულიდან გამომდინარე ტანჯვის განცდას. ამგვარ გარემოში მსხვერპლი ვერ ჩერდება, ეს დაკავშირებულია მის განცდებთან, მსხვერპლი მიიჩნევს, რომ ქმედება, რომელიც მის მიმართ განხორციელდა, ლახავს მის ღირსებას, მის პიროვნებას და ყველანაირად ცდილობს განერიდოს ამ გარემოს.

მართალია ქმედების შემადგენლობაში აღნიშნული შედეგები ალტერნატივების სახით არის ჩამოთვლილი, თუმცა ეს არ გამორიცხავს რამდენიმე შედეგის კუმულაციურ არსებობას. სექსუალურმა შევიწროებამ მსხვერპლს შეიძლება შეუქმნას როგორც დამაშინებელი, ისე მტრული, შეურაცხმყოფელი, ღირსების შემლახავი ან/და დამამცირებელი გარემო. სახალხო დამცველი განმარტავს, რომ სექსუალური შევიწროება ყოველთვის იწვევს პირის ღირსების შელახვასა და დამცირებას. განსაკუთრებით, თუ სექსუალური შევიწროება გამოხატულია ინტიმურ ადგილებზე ფიზიკური შეხებით.[26]

აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში, სექსუალური შევიწროების განხორციელების შედეგად, მსხვერპლი აღმოჩნდება ისეთ გარემოში, სადაც მას არ სურს ყოფნა და მისი პირველადი მოთხოვნილება ამ დროს არის ის, რომ განერიდოს ამ გარემოს და თავი უკეთ იგრძნოს.

## 2.1.3. სექსუალური შევიწროების ობიექტური ელემენტები

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სექსუალურ შევიწროებას გარდა სუბიექტური ელემენტებისა, აუცილებელია თან ახლდეს ობიექტური ელემენტებიც, კერძოდ: სახეზე უნდა იყოს სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც განხორციელდა საზოგადოებრივ ადგილას და ის მიმართული იყო კონკრეტული პირის მიმართ.

### *2.1.3.1. საზოგადოებრივი ადგილი*

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $166^1$-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა აუცილებლად უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივ ადგილას.

2015 წელს ჩატარებული კვლევა ხაზს უსვამს, რომ სექსუალური შევიწროება ძირითადად ხალხით სავსე სივრცეებში ხდება, „გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ყველაზე ხშირად ისინი შევიწროების ობიექტები გამხდარან ქუჩაში – 44%, ტრანსპორტში – 33%, პარკში – 8% და უნივერსიტეტში – 2%".[27]

არცერთი საკანონმდებლო აქტი არ იცნობს საზოგადოებრივი ადგილის განმარტებას, თუმცა არსებობს განსაზღვრული კრიტერიუმები, რომლებიც მხედველობაში მიიღება ამა თუ იმ სივრცის საზოგადოებრივი ადგილისადმი კუთვნილების განსაზღვრისათვის.

"საჯარო ადგილი ან სივრცე" ნიშნავს სა-

---

26 სახალხო დამცველი (2020, 13 აპრილი). რეკომენდაცია სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ, გვ.12 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020041612511084117.pdf> [ბოლო წვდომა: 10.02.2022]

27 ახობაძე, ქ., (2015). სექსუალური შევიწროება – ქალთა უჩინარი დისკრიმინაცია, კვლევის ანგარიში, თბილისი, ქალთა ფონდი საქართველოში, გვ. 116.

ზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ პეიზაჟებს, სტრუქტურებს და ინფრასტრუქტურას. საზოგადოებრივი ადგილები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ პარკებით, პლაზებით, ქუჩებით და სხვა სივრცით.[28]

საკითხის შესწავლის კუთხით, მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტება, რომლის თანახმადაც: "ბრალდებულის ეზო, რომლის დანახვაც შესაძლებელი იყო როგორც დაზარალებულისათვის, ასევე გზიდან, მიჩნეულ იქნა საზოგადოებრივ ადგილად."[29]

აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივ ადგილად, საჯარო სივრცედ მხოლოდ ქუჩა განიმარტება. ერთ-ერთი განმარტების თანახმად "ქუჩაში შევიწროება ქალის ან ქალების მიმართ უცხო კაცის ან კაცების მიერ ხორციელდება, რომლებიც ერევიან ან ცდილობენ ჩაერიონ ქალის პირად სივრცეში ისეთი ქცევით, რომელიც არის ქალისათვის არასასურველი."[30]

მიუხედავად საზოგადოებაში დამკვიდრებული ამგვარი არასწორი განმარტებისა, საზოგადოებრივი ადგილად უნდა ჩაითვალოს ისეთი საჯარო ადგილი და სივრცე, სადაც ნებისმიერ პირს აქვს ყოფნის უფლება ან ამ უფლების მოპოვების შესაძლებლობა. თავის მხრივ, ასეთი სივრცე შესაძლოა იყოს ღია, დახურული ან/და ვირტუალური.

ღია საზოგადოებრივი სივრცე, ადგილი შეიძლება იყოს: ქუჩა, ეზო, სტადიონი, სკვერი, პარკი, ნებისმიერი დაწესებულების ეზო ან/და სხვა გარე ტერიტორია.

დახურული საზოგადოებრივი სივრცე, ადგილი შეიძლება იყოს: კაფე, რესტორანი, თეატრი, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმო და სხვა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დახურულ საზოგადოებრივ სივრცეს განეკუთვნება ნებისმიერი სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ავტობუსი, მეტრო, სადგურების შიდა ტერიტორია და სხვა.

ვირტუალური საზოგადოებრივი სივრცე, ადგილი შეიძლება იყოს – სოციალური ქსელები (facebook,; Messenger და ა.შ) ინტერნეტ სივრცე ( yahoo.com; gmail.com და ა.შ.), ამასთან, მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ თუ შემავიწროებელმა სექსუალური ხასიათის შეტყობინება, ვიდეო, ფოტო გაგზავნა ერთი კონკრეტული პირისთვის, პირად შეტყობინებაში, ეს ვერ ჩაითვლება საზოგადოებრივ ადგილზე განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებად.

ვირტუალურ საზოგადოებრივი სივრცესთან დაკავშირებით სახალხო დამცველი განმარტავს, რომ: „ საზოგადოებრივი ადგილის განმარტებისას, გვერდს ვერ ავუვლით, სხვადასხვა სოციალურ სივრცეში გამოკვეთილ სექსუალურ შევიწროებას. დღესდღეობით, არსებობს მოსაზრება, რომ ვირტუალური სივრცეები, რომლებიც ხელმისაწვდომია ინტერნეტის მეშვეობით, ახალი ტიპის საჯარო სივრცეა."[31]

### *2.1.3.2. სექსუალური შევიწროების ადრესატი*

სექსუალური შევიწროება ხორციელდება კონკრეტული პირის მიმართ, ქმედებას უნდა ჰყავდეს კონკრეტული ადრესატი. იმ შემთხვევაში თუ სექსუალური ხასიათის ქცევა, მაგალითად გაშიშვლება ან გენიტალიების დემონსტრირება, ხორციელდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას და ის არ არის მიმართული კონკრეტული პირის ან პირების მიმართ, აღნიშნული ქმედება ვერ ჩაითვლება სექსუალურ შევიწროებად, ასეთი ქმედებისათვის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს სასკ-ის 171-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საზოგადოებრივ ადგილებში ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელებისათვის.

---

28 Burgess S., (2016). RESULTS ANNUAL TOWN MEETING May 2, 4, 9, 11, 16, 18, 23, 25 & June 6, 2016, P. 8, <https://amherstma.gov/DocumentCenter/View/34714/2016-ATM-Results---UNOFFICIAL?bidId.> [ბოლო წვდომა: 10.02.2022]

29 საქართველოს უზენაესი სასამართლო (2020, 2 თებერვალი). სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლის (ადევნება) სასამართლო პრაქტიკა, გვ. 37, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/adevneba.pdf> [ბოლო წვდომა: 22.02.2022]

30 Bowman G., (1993). Street harassment and the informal Ghettoization of Women, Harvard Law Review Vol. 106, No. 3, <https://www.jstor.org/stable/1341656?origin=crossref> [ბოლო წვდომა: 22.02.2022]

31 სახალხო დამცველი (2021, 24 იანვარი). პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, 2020 წელი, გვ. 15, <https://www.ombudsman.ge/geo/sakhelmdzghvaneloebi-da-kvlevebi/praktikuli-sakhelmdzghvanelo-seksualuri-shevitsroebis-shesakheb> [ბოლო წვდომა: 22.02.2022]

სექსუალური შევიწროების ადრესატი შეიძლება იყოს პირი განურჩევლად სქესისა, ასაკისა, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა, ეროვნებისა, რასისა და სხვა მახასიათებლებისა. აღნიშნული ქმედების ადრესატები არ არიან მხოლოდ კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლები, ამგვარ ქმედებას შეიძლება დაექვემდებაროს ნებისმიერი პირი.

### *2.1.3.3. სექსუალური ხასიათის ქცევა*

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის შენიშვნის თანახმად „ამ კოდექსის მიზნებისთვის სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩნევა სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა."

სექსუალური შევიწროება არის „ნებისმიერი შეურაცხყოფა, შენიშვნა, ხუმრობა, ინსინუაცია ან კომენტარი პირის ჩაცმულობაზე, გარეგნობაზე, ასაკზე, ოჯახურ მდგომარეობაზე და ა.შ. ასევე, ქედმაღლური ან მამობრივი დამოკიდებულება, რომელსაც სექსუალური ხასიათის შედეგები აქვს და ადამიანის ღირსებას აკნინებს, არასასურველი შეთავაზება ან მოთხოვნა, რომელსაც თან ერთვის ფარული ან ღია მუქარა, ნებისმიერი უხამსი მზერა ან ჟესტი, რომელიც სექსუალურობასთან არის დაკავშირებული და ნებისმიერი ფიზიკური კონტაქტი, როგორიცაა, შეხება, მოფერება, ჩქმეტა ან ფიზიკური თავდასხმა".[32] არსებული რეგულაცია არ შეიცავს სექსუალური ხასიათის ქცევის ამომწურავ ჩამონათვალს, რაც მართებულად უნდა შეფასდეს. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს აქვს თუ არა ადგილი სექსუალური ხასიათის ქცევას.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კონვენციის თანახმად, სექსუალური შევიწროება მრავალი ფორმით შეიძლება იქნეს განხორციელებული მათ შორის: სიტყვიერად ან არასიტყვიერად, ან ფიზიკური ქცევით. ამასთან, აღნიშნული ქმედებები ადრესატისთვის უნდა იყოს შეურაცხმყოფელი და ლახავდეს მის ღირსებას. [33] სექსუალურ შევიწროებად უნდა ჩაითვალოს ასევე მითითებები გარეგნობაზე, სხეულის ნაწილებზე, ზეწოლა სექსუალური კავშირის დამყარების მიზნით და სხვა.[34]

არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა შესაძლოა განხორციელდეს სოციალურ ქსელშიც, რისი ნათელი მაგალითი შეიძლება იყოს საჯაროდ (როცა კომენტარი ხელმისაწვდომია 2-ზე მეტი პირისათვის) სექსუალური ხასიათის კომენტარის დაწერა, ან მსგავსი შინაარსის ვიდეოს გაგზავნა (ხმოვანი შეტყობინების სახით) და სხვა. ყველა შემთხვევაში სექსუალური ხასიათის ქცევაზე წვდომა ორ ადამიანზე მეტს უნდა ჰქონდეს, რომ ეს ადგილი შეფასდეს საზოგადოებრივ ადგილად.

სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმასა ან/და მიმართვაში იგულისხმება სიტყვიერი ფორმით სექსუალური ხასიათის ქცევის განხორციელება, სექსუალური კომენტარები პირის ანატომიის ან ფიზიკური მახასიათებლის შესახებ და სხვა.[35] სექსუალური ფრაზების თქმა/მიძახება, კომენტარები, ფრაზები პირის სხეულის ფორმების, გარეგნობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის შესახებ (მაგალითად: „რა სექსუალური მკერდი გაქვს", „რა სურნელოვანი კანი გაქვს" და ა. შ.). სექსუალური ხასიათის ფიზიკური ქცევა იქნება თვალის ჩაკვრა, კოცნა ან ტუჩების გახვევა, სექსუალური ჟესტების გაკეთება ხელით ან სხეულის მოძრაობებით.[36] მოფერება, ხელის გადასმა, ჩქმეტა, გენიტალიების ჩვენება, გენიტალიებით შეხება, სხვა სახის სექსუალური ფიზიკური ქცევა.

32 UN 2000. Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 19: Violence against women, 1992, §17, <https://www.un-.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm#recom19> [ბოლო წვდომა: 22.02.2022]

33 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2017, 19 აგვისტო). ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0> [ბოლო წვდომა: 22.02.2022].

34 UN 2010. What is Sexual Harassment? P. 1-2, <https://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/whatissh.pdf> [ბოლო წვდომა: 10.02.2022]

35 UN 2010. What is Sexual Harassment? P. 2, <https://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/whatissh.pdf> [Last Seen:10.02.2022]

36 UN 2010. What is Sexual Harassment? P. 2-3, <https://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/whatissh.pdf> [ბოლო წვდომა: 10.02.2022]

ფაქტობრივად სექსუალური ხასიათის ქცევის ამომწურავი ჩამონათვალი არ არსებობს, რაც სწორი სამართლებრივი რეგულირებაა, ვინაიდან არ არსებობს იმ ქმედებების ამომწურავი ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც სექსუალური ხასიათის ქცევა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფომ სექსუალური შევიწროების ფაქტები საკანონმდებლო რეგულირებას დაუქვემდებარა, „ქვეყანა ჯერ კიდევ დიდი გამოწვევის წინაშე დგას, რომელიც მოიცავს აღსრულების მექანიზმის გაუმჯობესებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფას."[37] სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება ხელი შეუწყოს თანასწორობის უფლების რეალიზებას და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

## დასკვნა

სექსუალური შევიწროება არ არის მხოლოდ მსხვერპლის „პრობლემა". მას უარყოფითი შედეგები მოაქვს როგორც მსხვერპლისთვის, ისე საზოგადოების დანარჩენი წევრებისთვის. სექსუალური შევიწროების "კომპლიმენტად", "მოცემულობად" და "ნორმად" შეფუთვა პირდაპირ პროპორციულად ნიშნავს მსგავსი ქმედებების დაშვებას, გაზრდას და მისი როგორც მიღებული ქცევის წესად ფორმულირებას. გენდერული დისკრიმინაციის აღნიშნული ფორმა ვნებს არა მხოლოდ მსხვერპლის უფლებებსა და ინტერესებს, არამედ ქმნის გარემოს, რომელიც ნებისმიერი პირისთვის შეიძლება იყოს უფლების შემზღუდავი და დამაზიანებელი.

საზოგადოებრივ ადგილებში განხორციელებული სექსუალური შევიწროების ის ელემენტები, რომლებიც ქართულ საკანონმდებლო ნორმაშია მითითებული, სრულად შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, მისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ელემენტებია:

- აღნიშნული ქმედება ხორციელდება საჯარო სივრცეში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში;
- სექსუალური შევიწროება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით (სიტყვიერად, არა სიტყვიერად, ფიზიკურად);
- სექსუალური ხასიათის ქცევა აუცილებლად მიემართება კონკრეტულ პირს, რომლისთვისაც ეს ქცევა არის არასასურველი და იწვევს ამ უკანასკნელის დამცირებას, დაშინებას, შეურაცხყოფას და ახდენს მის ობიექტივიზაციას;
- სექსუალური შევიწროება შეიძლება განხორციელდეს სხვა პირებისგან შეუმჩნევლად, ან ისეთ საჯარო სივრცეში, სადაც არ იმყოფებიან გარეშე პირები;
- ძირითად შემთხვევებში შემავიწროებელი არის კაცი, რომელიც არ იცნობს მსხვერპლს, მსხვერპლი კი არის ქალი.

პირს უფლება აქვს დაცული იყოს სექსუალური შევიწროებისაგან როგორც პირად, ისე საჯარო სივრცეში. თუმცა, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გაცილებით მაღალია, როდესაც საქმე ეხება საჯარო სივრცეში განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებას, ვინაიდან, საჯარო სივრცე უფრო მაღალი დაცულობით ხასიათდება და როდესაც ამ სივრცეში პირს არ გააჩნია სექსუალური შევიწროებისაგან დაცულობის გარანტიები, რა თქმა უნდა აღნიშნული აისახება სახელმწიფოს იმიჯზე, მის როლზე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე.

37 ბათიაშვილი, ი., (2020). ქალთა მიმართ ძალადობა 21-ე საუკუნის ტელესკოპში. სამართალი და მსოფლიო, 6(1), გვ. 75, <https://doi.org/10.36475/14.1.6>

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, (ბოლო რედაქციის თარიღი: 31.12.2021)
2. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, (ბოლო რედაქციის თარიღი: 31.12.2021)

### კვლევები და სახელმძღვანელოები:

1. ახობაძე, ქ., სექსუალური შევიწროება – ქალთა უჩინარი დისკრიმინაცია, კვლევის ანგარიში, 2015 წელი
2. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქართველოს საჯარო სამსახურში, 2021 წელი
3. საქართველოს უზენაესი სასამართლო (2020, 2 თებერვალი). სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლის (ადევნება) სასამართლო პრაქტიკა
4. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2020 წელი
5. ბათიაშვილი, ი. 2020. ქალთა მიმართ ძალადობა 21-ე საუკუნის ტელესკოპში. სამართალი და მსოფლიო. 6(1), გვ. 61-67

### სახალხო დამცველის მიერ მომზადებული დოკუმენტები

1. სახალხო დამცველი, პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, 2020 წელი
2. სახალხო დამცველის 2017 წლის რეკომენდაცია შევიწროებით და სექსუალური შევიწროებით გამოხატული სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ
3. სახალხო დამცველის 2018 წლის რეკომენდაცია სექსუალური შევიწროებით გამოხატული სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე
4. სახალხო დამცველის 2020 წლის რეკომენდაცია სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ

## BIBLIOGRAPHY:

### Legal Acts

1. Administrative Offences Code of Georgia, (date last edited: 30.12.2021). (In Georgian)
2. Criminal Code of Georgia, (date last edited: 31.12.2021). (In Georgian)
3. Law of Georgia on the Elimination of All Forms of Discrimination. (In Georgian)

### Researches and Manuals:

1. Akhobadze, K., Sexual Harassment – Invisible Discrimination against Women, Research Report, 2015 (In Georgian)
2. Commentaries on crimes against sexual freedom and inviolability, Group Authors, 2020 (In Georgian)
3. Supreme Court of Georgia (2020, 2 February). Judicial Practice on Article 34 (Stalking) of the Istanbul Convention; (In Georgian)
4. UN Women Georgia, Workplace Sexual Harassment in the Civil Service in Georgia, 2021 (In Georgian)
5. Batiashvili, I. 2020. Violence Against Women in the 21st Century Telescope. Law and World, 6(1), pp. 61-67. (In Georgian)

### Documents prepared by the Public Defender

1. Practical Guide on Sexual Harassment, Public Defender, 2020 (In Georgian)
2. Public Defender's 2017 Recommendation on Establishing Discrimination on the Basis of Sex Expressed in Harassment and Sexual Harassment, (In Georgian)
3. Public Defender's 2018 Recommendation on Establishing Discrimination on the basis of Sex Expressed in Sexual Harassment, (In Georgian)
4. Public Defender's 2020 Recommendation on Establishing Sexual Harassment, (In Georgian)

### Foreign Literature:

1. Bowman G., (1993). Street Harassment and Informal Ghettoization of Women, Review of Harvard Law, Vol. 106, No. 3. (In English)
2. Burgess S., (2016) Results of Annual City Meetings, May 2, 4, 9, 11, 16, 18, 23, 25, June 6, 2016. (In English)
3. UN, What is Sexual Harassment? (Source:

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. ბოვმან გ., (1993). ქუჩის შევიწროება და ქალების არაფორმალური გეტოიზაცია, ჰარვარდის სამართლის მიმოხილვა, ტ. 106, No 3
2. ბურგესი ს., (2016) ქალაქის ყოველწლიური შეხვედრების შედეგები, მაისი 2, 4, 9, 11, 16, 18, 23, 25, ივნისი 6, 2016
3. გაერო, რა არის სექსუალური შევიწროება? (წყარო: სექსუალური შევიწროების პრევენცია (BNA Communications, Inc.) SDC IP.73, 1992 სახელმძღვანელო)
4. გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW), ზოგადი რეკომენდაცია No12: ქალთა მიმართ ძალადობა, 1989
5. გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW), ზოგადი რეკომენდაცია No19: ქალთა მიმართ ძალადობა, 1992
6. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, დოკუმენტების კრებული, გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები, 2018
7. ევროკომისია, სქესთან დაკავშირებული შევიწროება და სექსუალური შევიწროების კანონმდებლობა ევროპის 33 ქვეყანაში, 2013;
8. ევროპის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გზამკვლევი, 2018
9. თურქჰეიმერი დ., ქუჩის შევიწროება, როგორც სექსუალური დაქვემდებარება: გენდერულად სპეციფიკური ზიანის ფენომენი. ვისკონსინის ქალთა სამართლის ჟურნალი, 1997
10. ონტარიოს ადამიანის უფლებათა კომისია, პოლიტიკა სექსუალური და გენდერული შევიწროების პრევენციის შესახებ, მტკიცების ტვირთი, მტკიცებულებათა საკითხები, 2013

საერთაშორისო გადაწყვეტილებები, რეკომენდაციები:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Y სლოვენიის წინააღმდეგ, No. 41107/10, 28/05/2015;
2. ადამიანის უფლებათა კომისია, ვილისი ბლენცოს წინააღმდეგ, 2001
3. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო, ჯოზეფ ონკელე, პეტიციები Sundownet-ის ოფშორული სერვისის წინააღმდეგ. N96-568, 1998
4. აშშ-ის უზენაესი სასამართლო, მერიტორის შემნახველი ბანკი ვინსონის წინააღმდეგ, 1986
5. ევროპის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, 2011
6. ჰარისონი ვ. ნიქსონ სეფთი ქონსალთინგი და სხვები(N3), 2008 ადამიანის უფლებათა ტრიბუნალი 462

Preventing Sexual Harassment (BNA Communications, Inc.) SDC IP .73, 1992 manual). (In English)

4. United Nations Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 12: Violence Against Women, 1989
5. UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 19: Violence Against Women, 1992. (In English)
6. UN Women, Collection of Documents, UN Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, Optional Protocol to the Convention and General Recommendations, 2018. (In English)
7. European Commission, Sexual Harassment and Sexual Harassment Legislation in 33 European Countries, 2013. (In English)
8. European Anti-Discrimination Law Guide, 2018. (In English)
9. Turkheimer D., Street Harassment as Sexual Subordination: A Phenomenon of Gender-Specific Harm. Wisconsin Women's Law Journal, 1997. (In English)
10. Ontario Human Rights Commission, Policy on the Prevention of Sexual and Gender-Based Harassment, Burden of Evidence, Evidence Issues, 2013. (In English)

International Decisions, Recommendations:

1. Judgment of the European Court of Human Rights, ECtHR, v. Slovenia, no. 41107/10, 28/05/2015. (In English)
2. Human Rights Commission, Willis v. Blencoe, 2001 BCHRT 12 (CanLII). (In English)
3. The Supreme Court of the United States, Joseph Onkel, petitions against Sundownet's offshore service. N96-568, 1998. (In English)
4. Supreme court of the Unated States, Josef Oncale, Petitiones v. Sundownet offshore service. N96-568, 1998. (In English)
5. Council of Europe Explanatory Report to the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence, 2011. (In English)
6. Harrison W. Nixon Safety Consulting et al. (N3), 2008 Human Rights Tribunal 462. (In English)

NOTES:


1. Georgia, UN Women, (2021, 20 September). Workplace Sexual Harassment in the Civil Service in Georgia, <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2021/Workplace%20Sexual%20Harassment%20in%20the%20Civil%20Service%20in%20Georgia%20GEO%20renewed.pdf> [Last Seen: 21.02.2022]
2. Tuerkheimer, D. 1997, Street harassment as sexual subordination: the phenomenology of gender-specific harm. Wisconsin Women's Law Journal, Vol. 12, 167
3. ECtHR, Y v. Slovenia, no. 41107/10, 28/05/2015, § 101
4. UN, 2000. Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 12, Violence against women, 1989, §1, <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm#recom12> [Last Seen: 22.02.2022]
5. UN 2000. Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 19: Violence against women, 1992, §17, <https://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm#recom19> [Last Seen: 22.02.2022]
6. Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women (CEDAW), Beijing Declaration and Platform for Action, Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence, etc.
7. Legislative Herald of Georgia (2017, 19 August). Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0> [Last Seen: 22.02.2022]
8. Georgia, UN Women (2018, 18 September). Collection of documents, UN Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, Optional Protocol to the Convention and General Recommendations,<https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/convention%20on%20elimination%20of%20violence.pdf> [Last Seen: 25.02.2022]
9. Public Defender of Georgia (2017, 3 May). Recommendation on Establishing Discrimination on the Basis of Sex Expressed in Harassment and Sexual Harassment, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019111312451520835.pdf> [Last Seen: 10.02.2022]
10. Publications office of the European Union (2013, 15 November). European Commission, Harassment related to Sex and Sexual Harasment law in 33 European Countries, § 13-14, <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/e06dcc86-b7bf-459e-8241-47502ef379c4> [Last Seen: 22.02.2022]
11. Publications office of the European Union (2013, 15 November). European Commission, Harassment related to Sex and Sexual Harasment law in 33 European Countries, §19, <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/e06dcc86-b7bf-459e-8241-47502ef379c4> [Last Seen: 22.02.2022]
12. Supreme court of the Unated States, Josef Oncale, Petitiones v. Sundownet offshore service. N96-568, 1998
13. Administrative Offences Code of Georgia, date last edited 30.12.2021.
14. Akhobadze, K., (2015). Sexual Harassment – Invisible Discrimination against Women, Research Report, Tbilisi, Women's Fund in Georgia, p.9.
15. Ontario Human Rights Commission 2013. Policy on preventing sexual and gender-based harassment, Burden of Proof, Evidentary Issues, <https://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment-0> [Last Seen:10.02.2022]
16. UN 2010. What is Sexual Harassment? P. 1, <https://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/whatissh.pdf> [Last Seen: 10.02.2022]
17. European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe 2018. Handbook of European Non-Discrimination Law, 2018 edition, Luxembourg: Publications Office of the European Union, 64, <https://fra.europa.eu/sites/default/files/

fra_uploads/fra-2018-handbook-non-discrimination-law-2018_en.pdf> [Last Seen: 22.02.22022]
18. Supreme Court of the United States, Josef Oncale, Petitioner v. Sundowner Offshore Services, Incorporater, et al., No. 96 – 568, 1998, II
19. Public Defender of Georgia (2018, 1 October) Recommendation on Establishing Discrimination on the Basis of Sex Expressed in Sexual Harassment, p.4. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019110716515195006.pdf> [Last Seen: 22.02.2022]
20. Harrison v. Nixon Safety Consulting and others (No. 3), 2008 BCHRT 462 (CanLII)
21. The U.S. Supreme Court, Meritor Savings Bank v. Vinson, 477 U.S. 57 1986
22. Ontario Human Rights Commission 2013. Policy on preventing sexual and gender-based harassment, Burden of Proof, Evidentary Issues, <https://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment-0> [Last Seen: 10.02.2022]
23. Human Rights Commission, Willis v. Blencoe, 2001 BCHRT 12 (CanLII), §58; Potapczyk v. MacBain, 1984 CanLII 11 (CHRT), §45.
24. Public Defender of Georgia (2021, 24 January). Practical Guide on Sexual Harassment, 2020, p.20. <https://www.ombudsman.ge/geo/sakhelmdzghvaneloebi-da-kvlevebi/praktikuli-sakhelmdzghvanelo-seksualuri-shevitsroebis-shesakheb> [Last Seen: 22.02.2022]
25. Ontario Human Rights Commission 2013. Policy on preventing sexual and gender-based harassment, Burden of Proof, Evidentary Issues, <https://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment-0> [Last Seen: 10.02.2022]
26. Public Defender of Georgia, (2020, 13 April). Recommendation on Establishing Sexual Harassment, p.12, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020041612511084117.pdf> [Last Seen: 10.02.2022]
27. Akhobadze, K., (2015). Sexual Harassment – Invisible Discrimination against Women, Research Report, Tbilisi, Women's Fund in Georgia, p.116.
28. Burgess S., (2016). RESULTS ANNUAL TOWN MEETING May 2, 4, 9, 11, 16, 18, 23, 25 & June 6, 2016, P. 8, <https://amherstma.gov/DocumentCenter/View/34714/2016-ATM-Results---UNOFFICIAL?bidId> [Last Seen: 10.02.2022]
29. Supreme Court of Georgia (2020, 2 February). Judicial Practice on Article 34 (Stalking) of the Istanbul Convention p.37, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/adevneba.pdf> [Last Seen: 22.02.2022]
30. Bowman G., (1993). Street harassment and the informal Ghettoization of Women, Harvard Law Review Vol. 106, No. 3, <https://www.jstor.org/stable/1341656?origin=crossref> [Last Seen: 22.02.2022]
31. Public Defender of Georgia (2021, 24 January). Practical Guide on Sexual Harassment, 2020, p.15. <https://www.ombudsman.ge/geo/sakhelmdzghvaneloebi-da-kvlevebi/praktikuli-sakhelmdzghvanelo-seksualuri-shevitsroebis-shesakheb> [Last Seen: 22.02.2022]
32. UN, 2000. Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 19: Violence against women, 1992, §17, <https://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm#recom19> [Last Seen: 22.02.2022]
33. Legislative Herald of Georgia (2017, 19 August). Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0> [last Seen: 22.02.2022]
34. UN, 2010. What is Sexual Harassment? P. 1-2, <https://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/whatissh.pdf> [Last Seen: 10.02.2022]
35. UN, 2010. What is Sexual Harassment? P. 2, <https://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/whatissh.pdf> [Last Seen:10.02.2022]
36. UN, 2010. What is Sexual Harassment? P. 2-3, <https://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/whatissh.pdf> [Last Seen: 10.02.2022]
37. Batiashvili, I. 2020. Violence Against Women in the 21st Century Telescope. Law and World, 6(1), pp.75. <https://doi.org/10.36475/14.1.6>